ოთხშაბათი, 1918 წ. მკათათვის 24 № 146

ცალი ნომერი თბილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 50 კაპ.

ოთხშაბათი 1918 წ. მკათათვის 24 № 146

ყოველდღიური გაზეთი

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უბრალოდ გამოგზავნილი მასალა უდასურ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—8 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა: წლიური მხოლოდ ხამი თვით და ღირს—18 მ. თვეში (წლიურად ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალი № 40 კ. განცხადებისთვის სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—20 კ. საქართველოს ცენტრ მიღებულ განცხადებათ ფასი ორჯერ მეტია. ხანგრძლივი განცხადება თითოეულ ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. მიხამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქგარეთ 1 მ. და 50 კ. ფულის და წერილების, აგრეთვე კონტორის შესახებ, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჭირო განცხადებანი უნდა წარდგენილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 8 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქალაქსკა. ტელეგრ. მისამართ: Тифлисъ, пл. ... № 76. Телеграфн. адрес: Тифлисъ Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

დამწუხრებულნი: დედა, მამა, სონია და დარიკო ხერხეულიძენი, მარიამ კაველიშვილისა და იდ. დავითაშვილი აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს, რომ

ზურაბ გრიგოლ და ივანე

ხერხეულიძეების

მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება სიონის ტაძარში მკათათვის 25 ს (ძველი სტილით 12-ს). ამავე დღეს საღამოს 6 ს. პანაშვიდი გადახდილ იქნება მიცვალებულთა საფლავზე ქ. თბილისში. 3—3

გერონტი ქიქოძის

წიგნი

ეროვნული ენერგია

წერილების კრებული

(პოლიტიკა; ეკონომიური ცხოვრება; ხელოვნება)

გამოცემა ეროვნ.-დემ. ამხანაგობის თოფაძე ზაცვისა.

გაიყიდა ინაკინისთვის პირველ რიცხვამდე. 5—2

ფინანსთა სამინისტრო ამით აცხადებს

რომ მისგან დანიშნულია

კონკურსი ას-მანეთიანი ბილეთის

ნახატის შესამუშავებლად. უკანასკნელი ვადა ნახატის წარმოდგენისა 21 ივლისია, ნაშუადღევის 2 საათამდე. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება სამინისტროს კანცელარიაში 1—2 საათამდე ყოველ დღე.

ლატარია

აგარაკ ქვიშხეთში საუკეთესო ადგილას ჩამონაჭერი 300 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა, აღნიშნული ცალკე პლანზე და დეკრეტის მხრივ უსიტყვოდ უდავო მომგებს შეუძლიან რა დროსაც სურს დაიმტკიცოს.

ლატარიის ბილეთები ათას ორმოცდა ათი (1050) ცალია. ბილეთი ღირს 20 მანეთი. ბილეთების წიგნაკები კერძო პირებს აქვს დარიგებული გასასყიდათ. ყველა გასყიდულის წიგნაკების ფული უნდა ჩააბარონ ლატარიის ფულის ხაზინადარს გიორგი ლეჟავასას ძე მოჭადარიანს (ნოტარიუსი, ერევნის მოედანი სატრუმბრო „კავკასიის“ ეზოში). როდესაც სულ გაიყიდება ბილეთები, გამოცხადდება დღე ლატარიისა, რომელსაც დაესწრობიან ბილეთის მყიდველნი. ის დღეს ლატარიას მოაწყობენ ამისათვის საგანგებოთ მოწვეულნი პირნი: ბ.ბ. დავით ღურამიშვილი, პართენ გოთუა და კოტე მაყაშვილი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

ქ. თბილისის კომიტეტი.

ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის საბჭოსაგან

მოკლე ხანში საზღვარგარეთ მიემგზავრებიან მრეწველობისა და ვაჭრობის მცოდნე პირნი. საბჭო ამით აცხადებს რომ ვისაც ჰსურს რისამე დაბარება სხვა და სხვა ქარხნების მოსაწყობად, საჭირო ცნობების შეკრება ან სხვა და სხვა საქონლის ყიდვის შესახებ, ვსთხოვთ მობრძანდნენ საბჭოს ბინაზე ყოველ დღე 11—12 საათამდე (ახალი დროით) და განუცხადონ თავიანთი სურვილი. მისამართი: ქ. თბილისი, ფრეილინის ქ. 11, ტელეფონი 9—18.

## საზღვრების დაცვისათვის

საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დაცვა მთავრობის უპირველეს მოვალეობას შეადგენს. თუმცა ჩვენი სამშობლო ჯერ ხნობით მტკიცედ არ არის შემოფარგლული, მაგრამ დაახლოებით ცნობილია საქართველოს ტერიტორია და, მაშასადამე, დიდს სიძნელეს არ წარმოადგენს იმისი გაგება, თუ სად თავდება რესპუბლიკის საზღვრები და იწყება უცხო სახელმწიფოთა მფლობელობა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ჩვენმა დაუძინებელმა მტრებმა ჩვენი ტერიტორიის მრავალს ადგილს და უფრო კი განაპირა კუთხეებში შეუტევეს და ბოლშევიზმით გაჟღენთილ ხალხს აშკარა აჯანყებისაკენ მოუწოდეს. ამ ფაქტმა რესპუბლიკის მთავრობა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა, მით უფრო, რომ ამავე დროს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ყოფა-ცხოვრება სხვა მხრივაც გართულებული იყო. მთავრობა მცირე ყოყმანის შემდეგომ იძულებული გახდა გადაჭრილ ზომებისათვის მიემართა და ცეცხლითა და მახვილით მოესპო უწესოება და აჯანყება იქ, სადაც სიტყვა და შეგონება უშედეგოდ რჩებოდა. უნდა კმაყოფილებით აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის უკიდურესმა და, შეიძლება ითქვას, უსასტიკესმა ზომებმა სახელმწიფოს შედარებითი მყუდროება შესძინეს, აწიოკებულ და გაძარცვულ მშვიდობიან მცხოვრებლებს კი მიეცათ შეძლება დაბრუნებოდნენ სახლ-კარს და განეგრძოთ ჩვეულებრივი მუშაობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, სუვერენულ საქართველოს მოწინააღმდეგეთა ბანაკში მთავრობის ღონისძიებამ ცხარე კრიტიკით შეხვდნენ. ცნობილია საზოგადოდ, რომ თბილისში დაბინავებულ უცხო ტომის სოციალისტურ და არა-სოციალისტურ წრეებში მთავრობის ყოველი ნაბიჯი საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასამკვიდრებლად უნდობლობას იწვევს. უმეტესად ღელავენ ამ ადამიანებს რესპუბლიკის მმართველობის რუს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა და საზღვრების მტკიცე დაცვა. განსაკუთრებული ყურადღებით და გატაცებით ეპყრობიან საქართველოს მტრები საქართველოს ლაშქრის მოქმედებას შავი ზღვის სანაპიროებზე სოხუმს ზემოთ, ანუ, როგორც კადეტების ორგანო „ნაროდნაია სვობოდა“ ამბობს: „ნამდვილ რუსულ ტერიტორიაზე“. ზოგ-მიტად მიაჩნია კამათი სხვა და სხვა Професіями ჩვენი ქვეყნის საზღვრების შესახებ. მხოლოდ ერთს კი განვაცხადებთ მათ საყურადღებოდ, რომ საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულებაში და მმართველობაში წრეებში სრულიად სხვა შეხედულება აქვთ ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებზე. რამდენადაც საზღვრების გამიჯვნა ჰშობდება ეთნოგრაფიულ პრინციპს და ემყარება სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების სწორად შეფასებას, იქ „ნაროდნაია სვობოდას“ და მის ამყოლ-ამყოლთა ეგოისტურ იმპერიალისტური განზრახვები და ძალით შეჭრა „წმინდა რუსულ ტერიტორიაზე“. ჩვენ ღრმა რწმენით, მთავრობა ნამდვილ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ შეგნებით მოქმედობს, როდესაც შავი ზღვის სანაპიროებზე გახიზნულ და ავაზაკურ ბრბოებს ჰფანტავს შეიარაღებული ძალით და მშვიდობას ამყარებს ბოლშევიკებისაგან და შინაურ მტრებისაგან შეწუხებულ აფხაზეთში, ე. ი., საქართველოს ტერიტორიაზე. მხოლოდ მცნებათა არევ-დარევით აიხსნება ის, რომ იმავე კადეტებს ბუნებრივად მიაჩნიათ რუსეთის მიერ განმეორებითი ოკუპაცია განდგომილ კუთხეებისა, ხოლო იმპერიალისტობათ ასახელებენ უკანონობისაგან თავისუფალ სახელმწიფოს ზრუნვას საკუთარი საზღვრების დასაცავად. კადეტების და ძმათა მათთა რჩევით რომ ვსარგებლობდეთ, საქართველოს ტერიტორია არამც თუ უნდა შეიკვეცოს, თვით სახელმწიფოებრიობა უნდა მოისპოს ჩვენს მიწა-წყალზე და „მოდაბლებული“ საქართველო, ახალი აღთქმის ძიების შესამებრ, უნდა დაუბრუნდეს ძველს „მფარველს“.

ქართველი ხალხი კი სხვა გვარად სჯის და ანდობს მთავრობას და ჯარს მტკიცედ და შეურყევლად დაიცვან საქართველოს საზღვრები ყოველის მხრივ და განსაკუთრებით იქიდან, საიდანაც „ძველი მფარველი“ ყაჩაღური დუნდგოების სახით გვეძლევიან.

## ეროვნული მოვალეობა

მიმდინარე თვის 17-ს შესრულდა ოთხი წელიწადი მას შემდეგ, რაც პატარა სარაევოში ანთებულმა ნაპერწკალმა მთელი დედა-მიწის ზურგი ცეცხლის ალში გახვია. ოთხი წელიწადია მას შემდეგ, რაც დიდი რუსეთის მონარქმა მთელი ქვეყნის და თავის საკუთარი ერის წინაშე ფიცი დასდო, რომ იგი არ ჩააგებს ხმალს ქარქაშში, ვინემ რუსეთის მიწა-წყალზე ერთი გერმანელი მაინც დარჩება. ოთხი წელია მას შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთის სანაპიროებიდან დაწყებული იაპონიის კუნძულებამდე და თეთრი ზღვიდან ატლანტიის ზღვის ქვეყნებამდე წითლად იღებება დედა-მიწის ზურგი და მილიონობით დახოცილ ადამიანთა გვამებით პოხიერდება იგი.

მრავალი, მეტად სწრაფი და მოულოდნელი ცვლილებებით იყო სავსე ამ ოთხი წლის განვლილი ისტორია. კაცობრიობის ისტორიას ჯერ არ ახსოვს მეორე ამგვარი ეპოქა: ოთხი წლის იარაღის ჩხარუნმა და ზარბაზნების გრიალმა მთელს დედა-მიწის ზურგზე წარმოშობა იმდენი ცვლილებათობა, რომელთაც მშვიდობიან ისტორიულ მსვლელობაში მთელი საუკუნეები დასჭირდებოდა. ფუნდამენტალურ მთელი სამყაროს პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურულ ინტელექტუალური ცხოვრება ძირიან შეიცვალა და კაცობრიობის ისტორიაში ახალი ხანას სადირკველი ჩაეყარა.

ანალიზი ამ ოთხი წლის მატიანისა მეტად შორს წაგვიყვანს; ჩვენ გვსურს ამ მოკლე წერილში შევეხოთ იმ საკითხს, რომელიც ქვაკუთხედი იყო ამ დიადი ომის მონაწილეთა მოქმედებისა. დიდი სახელმწიფოთა უპირველესი ლოზუნგი, რომელიც მათ ომის პირველსავე დღეებში დიდი ასოებით დააწერეს თავის დროშას იყო: დამყარება ევროპაში სამარადისო მშვიდობიანობისა და განთავისუფლება ევროპის დამონებულ ერთა თვითგამორკვევის პრინციპით. და ევროპის მრავალი პატარა ერები, რომელთაც ისტორიის მსვლელობაში დაკარგული ჰქონდათ თავისი სუვერენული უფლებანი და ამათ იმ დიდ სახელმწიფოს ბრჭყალებში მოქცეულნი მხოლოდ ჩუმის ოცნებით შესტროდნენ თავის სამშობლოს და ერის მომავალ კეთილდღეობას, დიდს ამ დიადი ლოზუნგებით აღზნებულნი, გატაცებით მიიღტოდნენ ამ დროშის ქვეშ და თავის სუსტი ძალებით ზურგს უმაგრებდნენ მებრძოლ სახელმწიფოებს. მაგრამ მეტად ძნელი, რთული და ამასთანავე საშიში იყო პატარა ერებისათვის გადაჭრა იმ საკითხისა, თუ რომელ მებრძოლ მხარეს მიეკედლებოდნენ, ვის მხარეზე იყო უფრო მეტი გარანტია იმისა, რომ მომავალ ქარტეხილის შემდეგომ დამონებულ ერებს მიეცემოდა საშუალება თავისუფალი ცხოვრების და განვითარების, მაშინ, როდესაც ომის ბედი ან ერთს ან მეორე კოალიციას გადაწყვეტდა. ამის გამოცნობა მეტად ძნელი იყო და ამიტომაც იყო, რომ საერთაშორისო ომის მიმდინარეობაში მათი სიმპატია ხან ერთს, ხან მეორე მხარეს იხრებოდა. პატარა ერების ტრაგედიაც მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მთელი თავისი ეროვნულ სულის კვეთებით, მთელი გრძნობით და გონებით იგინი სცდილობდნენ ინტუიციით მაინც გამოეცნოთ ბედისწერისა მიერ მომავალში და თავისი სამშობლოს ეროვნული პოლიტიკა იქით გადაეხარათ, საიდანაც უფრო მეტი გარანტია და იმედი იყო მომავალ თავისუფლების მოსაპოვებლად. ყველა პატარა ერი სცდილობდა თავისი ბედი ამ დიდ ქარტეხილში გამოეჭედა, რადგან ყველასათვის ცხადი იყო, რომ ერთა განთავისუფლებისათვის ამგვარი ხელსაყრელი ხანა ისტორიაში ძვირად თუ როდისმე განმეორდებოდა. „ან ეხლა, ან არასოდეს!“ აი ის სიტყვები, რომელიც ეღირსება ომის დასაწყისში დამონებულ ერთა მიერ აფრიალებულ დროშებზე.

განვლილ ოთხმა წელმა ეს ყველასათვის ცხადი შეიქმნა, თუ ვინ უფრო სწორი გზით წავიდა საერთაშორისო ძალთა განაწყობილებას.

ცენტრალ სახელმწიფოთა ძლიერმა ნებისყოფამ, რკინის დისციპლინამ, სამაგალითო მამულიშვილობამ და უმაღლეს კულტურამ ამ ხნობით მაინც ჩამოაგდო მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს მრავალი მებრძოლი ამხანაგი: ბელგიით, სერბია, მონტენეგრო, რუმინეთი და შემდეგ დიდი რუსეთიც სამუდამოდ გამოეკიდნენ გერმანიელთა და მის მოკავშირეთა უმრავ მტრებს რიცხვს. რუსეთის დამარცხება მეტად მძიმე ტრაგედია უნდა ყოფილიყო რუსეთში მოსახლე იმ პატარა ერებისათვის, რომელნიც ომის დაწყებიდანვე იმედოვნებდნენ და ღრმა რწმენით გულწრფელად მიელოდნენ დიდი რუსეთის გამარჯვებას, რომელიც თავისუფლებას მათ მოუტანდა მათ თავისუფლებას და ბედნიერ ცხოვრებას. მაგრამ შემდეგომ რუსეთის დამარცხებისა მათ მთელი თავისი იმედები დაამყარეს იმავ დიდი რუსეთის დიდს რევოლუციაზე, და როდესაც ეს იმედიც გაცრუვდათ ხელი მიჰყვეს რუსეთის ნანგრევებზე თავის საკუთარ ეროვნულ სხეულის აღმშენებლობას და დასახმარებლად ხელი გაუწოდეს იმ სახელმწიფოს, რომლისაგანაც ყველაზე ნაკლებ დამცირებას მოელოდნენ საერთაშორისო ომის დასაწყისში.

საქართველოც ბევრ ვერ ასცდა ომის ისტორიის მსვლელობის ამ ეტაპებს. ქართველ ერის მილიტარული ძალა დიდიდან ომის დაწყებისა მიელის თავის ძალღონით ხელს უწყობდა რუსეთს აბსოლუტიზმის ძლიერ მტერთან ბრძოლაში: ეს მით უფრო სიმპტომატიური მოვლენა იყო რომ რუსეთის თვითმპყრობელობის გამარჯვება არა თუ არავითარ შვებას არ მოუტანდა რუსეთის დემოკრატიას, არამედ უფრო განამტკიცებდა რუსეთის მონარქიას ტახტს და მთელ რუსეთის იდეას უფრო მკვიდრს საძირკველს განუმზადებდა, და ამ საძირკვლის ქვეშ რუსეთის მშრომელ ხალხს ინტერესებთან ერთად იქნებ სამუდამოდ დამარხულიყო რუსეთში მოსახლე მცირე ერთა საარსებო მოთხოვნილებაც. ამგვარივე პოლიტიკას აწარმოებდენ ჩვენი თანამემამულენი რევოლუციის პირველ ხანებში, მაშინ, როდესაც ისინი მთელის თავის ძალღონით გულწრფელად ჰლამობდნენ რუსეთის რევოლუციის მთლიან ფრონტის დაცვას და ამ იდეის გამომსახველს და მატარებელს ა. კერენსკის გვერდში უმაგრებდნენ. მაგრამ ეს დემოკრატიული ფრონტიც დაირღვა და რუსეთში მოსახლე ერთა სვე-ბედის გადაწყვეტა თავს იდვა იმ სახელმწიფოებმა, რომლის წინააღმდეგ მიმართული

ეყო როგორც რუსეთის თვითმპყრობელობის ძლიერი ლახვარი, ისე მისივე დემოკრატიზმის წითელი დროშა.

და აი ოთხი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ქვეყანას ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა ერთა განთავისუფლების პირობა მისცეს.

ეს პირობა ჯერ-ჯერობით პირნათლად შეასრულა მხოლოდ გერმანიამ.

ეს ჩვენ საკუთარ თავზე, ჩვენს საკუთარ ეროვნულ სხეულზე ვგრძნობთ.

დღეს მეგობრული ხელი გვეპყრობა იმისა, ვის წინააღმდეგაც ოთხი წლის განმავლობაში ვამაგრებდით თვითმპყრობელურს და შემდეგ დემოკრატიულ ფრონტს, ვისი გამარჯვებაც ჩვენ, იქ, რუსეთში მოლაშქრე ხალხს, ჩვენი დემოკრატიის დასამარებლად მიაჩნდათ.

ეს იყო ნაყოფი იმ ეროვნულ ძალის უქონლობისა, რომელიც წარმოშობა არა მარტო ისტორიულ პერსპექტივების წინასწარ განჭვრეტის შეუძლებლობამ, არამედ უმთავრესად ამ წინასწარ განჭვრეტის სურვილის უქონლობამ.

და როგორც უნდა იყვეს საბოლოო სიტყვა ამ საერთაშორისო ძლიერებისა და სისხლის ღვრისა, ჩვენ ვალად გვმართებს მტკიცედ მივდიოთ ეროვნულ აღებულ ძალის და საბოლოოდ მისი მტკიცე გამტარებელნი ვიყოთ ჩვენი ერის ახალ ცხოვრებაში.

შ. ტატიშვილი.

## ნაციონალიზაცია და საპროფესიო კავშირები

უკანასკნელ წლებში, ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს, შეგნებულ მუშების წრეებში იზრდება ეროვნული გრძნობაც და შეგნებაც, როგორც ეროვნული ინტერესებისა, ისე მათი დაცვის საჭიროებისა. რკ ნის გზის დეპოში, ბეჭდვითი სიტყვის მუშებში და სხ. იღვიძებდა სადა გრძნობა სამშობლოს ენისადმი. ეს ისმოდა კერძო ლაპარაკში, ჯგუფებში და ერთი ჯგუფთაგანი ჩვენს რედაქციაშიაც კი მოვიდა —მაშინ გამოდიოდა ჟურნალი „კალდე"—და გვეთხრა: „ჩვენ „კალდის" მიმართულების სოციალდემოკრატები ვართ და ინტერნაციონალისტები გვეგონიან. „კალდის" მიმართულება მათ სამშობლოს ერის და ენის ინტერესების მიმართულებად მიაჩნდათ.

მაგრამ მაშინაც და ეხლაც, როცა მოწინავე მუშები მოითხოვენ მაგალი თად პროფესიულ კავშირების ნაციონალიზაციას ჩვენი გადაგვარებული სოციალ-დემოკრატია არა მარტო ხელს არ უწყობს—სდევნის თავისიანებს და გაზ. „ერთობაში" წერილს წერილზე სწერს, რომ ეს ნაციონალისტობა და შოვინიზმია, რომ ეს წინააღმდეგია ერთა სოლიდარობისა. ჩვენი სოციალდემოკრატია ყოველთვის უკ ლავდა ხალხს სადს ინსტინქტს სამშობლოს სიყვარულისას, ინსტინქტს თავდაცვისას დამპყრობელებისაგან და დღესაც, როცა საქართველო დამოუკიდებელია, როცა ქვეყანა თხოულობს, მოხელეების კავშირი ლამის აჯანყებს გზაზედ შედგნენ და საპროფესიო კავშირები მუშებისა მოითხოვენ გაქართულებას—„ერთობა" გაფეთქებული ებრძვის და ინტერნაციონალის სახელით ისევ რუსიფიკატორულ პოლიტიკას აწარმოებს. რატომ უნდა სწარმოებდეს საქმე საპროფესიო კავშირებში რუსულად? რატომ უნდა იყოს მსჯელობა რუსულად, რატომ რუსების ხელში უნდა იყოს მთელი მართვა-გამგეობა, როდესაც საქართველოში ვ ცხოვრობთ, უმრავლესობა მუშებისა არა რუსია და სხ. სომხებს ყველას უკეთ ესმით ქართული, ვიდრე რუსული და თუ დღეს სომხის მუშებიც რუსში ედგებიან რუსებს—ეს მომენტის ბრალია: სომხის პროლეტარიატიც, ბურჟუაზიაც, დიდი და პატარა რუსებს ექიდება ყველგან, რადგან ეროვნულად სხვა გამოსავალს ვერა ჰპოულობს და ჩვენთან ბრძოლაში ხელავს თავის ხსნასა. მაგრამ ჩვენ გვიკვირს, რომ ქართველი სოციალდემოკრატია ამ შემთხვევაში მხარს უჭერს უცხოელებს და იმის მაგიერ, რომ გული გამუმაგროს ქართველ მუშებს—მათვე ებრძვის ყოვლად შეურცხვენელ სახელებს—თითქო რუსისა და სომხის მუშები პირწმინდა ინტერნაციონალისტები იყვნენ. ასე უკუღმართად ესმით მათ ქართველ მუშების ინტერესები. რა სიყვარული უნდა ჩაუნერგოს და სურვილი თავის სამშობლოს დაცვისა, ან ინსტიქტი თავდაცვისა ქართველ მუშას ისეთმა სწავლამ, სადაც სირცხვილად ჩაუთვლიან ყველაფერს მშობლიურს. და მაშინ როდესაც ქართველ მუშას შეუძლიან, ისევე როგორც ქართველ მოხელეს, ან ყველა სხვა პროფესიის ქართველს განიმსჭვალოს სამშობლოს სიყვარულით და ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობაში ზურგი გაუმაგროს ქართულს მთავრობას და ქვეყანას თავისი ზნეობრივი დახმარებით და უზომო მოთხოვნილებათა შეკვეცებით;—ბრუდ წოდებული ინტერნაციონალური და საქმით კი უცხოელების გავლენის ქვეშ მყოფი კავშირები—არაფერს ზოგავენ, რომ უფრო შეასუსტონ ჩვენი მდგომარეობა. და ამაში შეუგნებლად მხარს უჭერს ჩვენი სოციალ დემოკრატია.

შეუგნებლად, ვამბობთ, რადგან სხვა ქვეყნებში არაფერს ამისთანას ვერ შეხვდებით. რასა თქმა უნდა, ყველა ქვეყანაში არის პროპაგანდა სოლიდარობისა, „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდითო" და სხ. მაგრამ ერთად-ერთი საქართველოა, სადაც ამბობენ: შეერთება შენის ქართველის ხარჯზე უნდა იყოსო. სოლიდარობა ცალმხრივი დათმობა კი არ არის, ბელგიაში, მაგ. სცხოვრობს ორი ტომის ხალხი ვალონები და ფლამანდიელები, მაგრამ არამც თუ მუშათა კავშირებში არ უძრახავენ ერთმანეთს,—პირიქით ყველგან მოითხოვენ, რომ მათი მშობლიური ენა დაცული იყოს, როგორც უფრო ადვილი საშუალება ეკონომიური ინტერესების დასაცველად. მთავრობის განკარგულება, საზოგადო წერილები და სხ. ყველაფერი ორივე ენაზედ უნდა იყოს ხოლმე და თუ ასე არა ხდება—მეორე ერის მუშა და არა მუშა ერთ განგაშს ასტეხავენ ხოლმე. ასევეა შვეიცარიაში, ავსტრიაში და მარტო ჩვენი გადაგვარებული, სულითხორცამდე გარუსებული სოციალ-დემოკრატიის მეთაურები ვერა ჰგრძნობენ ამ უკუღმართობას და სხვასაც სდევნიან.

მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის სადი ტენდენცია და ინსტინქტი, რამელმაც შეაძლებინა ქართველ ხალხს, მიუხედავად სოციალ-დემოკრატიის ჯიუტობის, ეცნო თავისი საკუთარი სამშობლო და მისი დამოუკიდებლობა, — შეაძლებინებს მის მოწინავე მუშებს შეიგნონ თავიანთი ინტერესები უკეთესად, ვიდრე მათს მეთაურებს ესმით, და იმედია, რომ საპროფესიო კავშირებში ისევე, როგორც სხვაგან, ისინი დაიცავენ მშობლიურ ენას და ინტერესებს, რომელსაც არ გააქელვინებენ უცხოელებს. ჩვენი სრული თანაგრძნობა და სიმპატია ქართველი მუშების მხარეზეა.

რაფ.

## ომი
### დასავლეთის ფრონტზე.
**გერმანიის ცნობა**

**ბერლინი. 22 ივლისი.** კრონპრინცრუპრეხტის ლაშქარი. მდ. ენსა და მარნას შუა ბრძოლა წინანდებურათ გრძელდება. მიუხედ ვად იმისა რომ 20 ივლისს მტერი დამარცხდა, მან მაინც ახლად დაიწყო მკაცრი შემოტევა ჩვენ წინაღმდეგ. ბრძოლაში შეიყვანეს ახალი დივიზია და ახლად მოტანილი ჯავშნიანი ავტომობილები მოწინააღმდეგის შემოტევამ უშედეგოდ ჩაიარა. წამოყვანილი ტყვეები მოწმობენ რომ მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა. სადამოს ბრძოლებიც გერმანელების სასარგებლოდ დამთავრდა. მდ. ენსა და ხარტენეს სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე ადგილებში მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის იერიშს ზურგს უმაგრებდა ქარიშხალისებური საარტილერიო ცეცხლი. ვი-მონტფორის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგე დროებით შემოიჭრა შატოციერის გზაჯვარედინის ახლო, მაგრამ ჩვენი კონტრ-იერიშებით ისევ უკან გავრეკეთ. ვაჲი, მონტფორი და ტინი ცენტრები იყო [illegible]. ბრძოლები აქ ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა. სადამოს მოწინააღმდეგის მომზადებული იერიში სუასონ ს სამხრეთ დასავლეთით დასაწყისშივე მოვსპეთ და ზარალი მ ვაყენეთ. ურკას ორივე მხარეზე მოწინააღმდეგე უშედეგო იერიშებს აწარმოებდა შუადღემდის, შუადღის შემდეგ კი ახალი ძალების დახმარებით მოწინააღმდეგემ ხელ ახლა შემოგვიტია. მკაცრი ბრძოლის შემდეგ ეს იერიშები, რომელნიც სწარმოებდნენ ურკას ორივე მხრით უკლაბან შატომდის ჩვენი კონტრ-იერიშით მოვსპეთ. შატო-ტიერის ჩრდილოეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით ჩვენ მიერ იმ ადგილებში დატოვებული ჯარები აჩერებდნენ მტრის წინსვლას ჩვენი პოზიციისაკენ და მხოლოდ სადამოს და მოახერხა მოწინააღმდეგემ ძლიერი იერიშების დაწყება, რომელმაც უშედეგოდ და მტრის საზარალოდ ჩაიარა. მარნის ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლაა. მარნსა და ბლორას შუა ფრანგები და ინგლისელები განაგრძობდნენ იერიშებს, მაგრამ ყველა იერიშები მოგერიებულ იქმნა მტრის დიდი ზარალით.

## ქრონიკა
### თბილისი.

— დეპეშა. გენერალი სუმბათაშვილი დეპეშით ატყობინებს სამხედრო მინისტრს: ბაღდადში სრული სიწყნარეა ჩამოვარდნილი. ზოგიერთი მოთავე შეპყრობილია, ბრბოებს იარაღს ვართმევთ. პოლკოვნიკი ზახარიევი დღეს ცხენოსანი ჯარით ბაღდადში შევა. არტილერია ჯერ კიდევ არ მიყვანა. პოლკოვნიკი ინწკირველი დაუნიშნე თავის სამხედრო გზის რაზმის უფროსად. მან მოიყვანა 200 გუშული ძველი ჯარის კაცები.

— თბ. ქალაქის საბჭოს მოიწონა გამგეობის პროექტი მცხოვრებთაგან განსაკუთრებულ ხარჯების აკრეფის შესახებ ხოლერასთან საბრძოლველად. საბჭომ გამგეობას დაავალა ხუთი კა-

## მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია?

ამ საკითხის გარშემო საქართველოს პოლიტიკურ წრეებში აზრთა გაცვლა-გამოცვლა და კამათი ჯერ არ დამთავრებულა. თუმცა საქართველოს დღევანდელი მთავრობა ოფიციალად მომხრეა მუდმივ ჯარის მოწყობისა საქართველოში, მაგრამ, როგორც არა ერთხელ განცხადებიდან მთავრობის წევრების და ზოგიერთ გავლენიან სოციალისტების,—მუდმივ ჯარის დაწესება საქართველოში არა ნორმალური მოვლენაა, დროებითი ხასიათისაა და სულ მოკლე ხანში მუდმივმა ჯარმა სახალხო მილიციის ორგანიზაციას ადგილი უნდა უნდა დაუთმოსო.

დღევანდელ ხანის ერთი დიდი ნაკლი ის არის, რომ ყველა ჩვენი საკითხები რყევას განიცდიან. ამით აიხსნება, თუ გნებავთ, ის მოვლენაც, რომ ასეთ რყევის ნიშნის ქვეშ გამოსული კანონები გვარიანად ვერ ტარდება ცხოვრებაში, მით უფრო, როდესაც ირყევა და ორჭოფობს თვით მთავრობა ან პოლიტიკური მესვეურობა ქვეყნისა. მაშინ გამოცემულ კანონს მთავრობის მოხელეობა გულგრილად ეკიდება, ხალხი კი მტრულად. რა შედეგი ეწვია წარსულ მთავრობის „სამხედრო დეკრეტებს"—ყველამ უწყის. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. სამხედრო საქმის აშენებლობა მოითხოვს კანონმდებლისაგან მტკიცე რწმენას და აღმასრულებელისგან კანონის ერთგულებას და მის სასტიკ განმტკიცებას ცხოვრებაში. სამხედრო საქმე ვერ ითმენს ორჭოფობას და რყევას.

—

მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია? რომელი უფრო შეეფერება საქართველოს დღევანდელ პირობებს და მომავლის პერსპექტივებს? ამ საპრობლემო სადღეისო საკითხს ვეცდები ზოგადად მაინც ვუპასუხო მოკლე საგაზეთო წერილის საშუალებით.

ერთად-ერთი და კლასიკური მაგალითი სახალხო მილიციის სისტემისა, რომლისკენაც მუდამ და დაჟინებით მიგვითითებენ ხოლმე სოციალისტები —ეს „შვეიცარიის კავშირის მილიცია" გახლავთ. სხვა არავითარი მაგალითი (არც სხვანაირი) დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება. და ამიტომ საქმეა გავეცნოთ შვეიცარიის ცხოვრების მთავარ პოლიტიკურ-კულტურულ ფაქტორს და საქართველოს პირობებთან შედარების შემდეგ გავფანტოთ ჩვენი სოციალისტების კეთილი ილუზიები.

1815 წელს ვენის კონგრესზედ ევროპ ს სახელმწიფოებმა აღიარეს მუდმივი ნეიტრალიტეტი შვეიცარიის კავშირისა და მისცეს გარანტია მის საზღვრების ხელშეუხებლობისა. მას შემდეგ შვეიცარია ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობის და ბრძოლის გარეშე რჩება. თუმცა ეს უკანასკნელი ფაქტი შვეიცარიის უცხოელთა შემოსევის ხიფათისაგან სავსებით ვერ უზრუნველ ჰყოფდა, მაგრამ მაინც ევროპის გარანტიამ მისცა შვეიცარიას დრო და საშუალება შეექმნა თავისებური სამხედრო ორგანიზაცია „შვეიცარიის კავშირის მილიციად" წოდებული. ასი წლის ნეიტრალიტეტმა ხელი შეუწყო შვეიცარიის მთავრობას განემტკიცებინა შინაური პოლიტიკა. მან შესძლო შვეიცარიაში მოსახლე სხვადასხვა ეთნიურ ჯგუფთა გაერთიანება და შექმნა ერთიან შვეიცარულ ერისა, მტკიცე ეროვნულ თვითშეგნებით. შვეიცარიის ყველა კანტონების სრული მორჩილება „შვეიცარიის კავშირისადმი" თავდებია თანამედროვე შვეიცარიის მთლიანობისა. შვეიცარიის სახალხო მილიციის რთული სისტემა ემყარება **შვეიცარიის მტკიცე საერთაშორისო მდგომარეობას და მის შედეგს, მშვიდობიან შინაურ პოლიტიკას.**

გარდა ამ პოლიტიკურ ფაქტორებისა, რომლის წყალობით არსებობს შვეიცარული მილიცია, არის კიდევ ერთი დიდი ფაქტორი, რომელიც ასაზრდოებს სახალხო მილიციის წეს-წყობილებას—ეს არის შვეიცარულ ახალგაზრდათა აღზრდა-განათლება. ამ მხრივ შვეიცარია უმაღლესი ქვეყანას წარმოადგენს. ხალხის განათლებაზე და ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ და სამხედრო მომზადებაზე შვეიცარია ყოველ წლივ 40 მილიონ ფრანკს ხარჯავს, სამხედრო მილიციაზე კი 28 მილიონს!

აქედან ცხადია, რომ სახალხო მილიციის ორგანიზაცია, **როგორც აუცილებელ პირობას, ეყრდნობა ხალხის დიდ კულტურას. ფართე განათლებას და წინასწარად ახალგაზრდა თაობის ფიზიკურად და მხედრულად შემზადებას.**

თუმცა ამ მხრივ „შვეიცარიის კავშირის მილიცია" ყოველ მხრივ შემკულია და გამაგრებული, მისი სამობილიზაციო სისტემაც მეცნიერების გარეშე სდგას, მაგრამ მიუხედავად ამისა შვეიცარიის მილიციას ერთი უდიდესი ნაკლი მოსდევს: **მას არა აქვს სამხედრო ისტორია.** შვეიცარულ მილიციას ჯერ არ დაუმტკიცებია ქვეყნიერობისათვის **ბრძოლის ველზედ თავისი სიძლიერის უპირატესობა.**

შვეიცარულ მილიციამ ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს: 1. გაუძლებს თუ არა იგი დღევანდელ რეგულიარულ საველე ჯარების იერიშებს, მომზადებულს გერმანულ ყაიდაზე. 2. რამდენად მომზადებულია იგი ხანგრძლივ ომისათვის, რომლითაც ასე მდიდარია დღევანდელი ომის ფურცლები. 3. რამდენად სამილიციო სისტემა აშენებული თავდაცვის საფუძველზედ (обороны) გამოდგება საჭირო შემთხვევებში იერიშების საწარმოებლად (наступленія).

საქართველოს ცხოვრების ყველა პირობები, ცხადია, ბევრად განირჩევიან შვეიცარიისაგან: საერთაშორისო მდგომარეობა საქართველოში ჯერ გამოურკვეველია მის „ნეიტრალიტეტს" ჯერ-ჯერობით იცავს „ოთხთა კავშირი", რომლის მეოთხედი ნაწილი (ოსმალეთი) არც თუ ისე გულწრფელად. შინაური მდგომარეობაც მეტად შერყეულია და ჯერ კიდევ დიდ ხანს ვერ მოეგვარდება. ეს არც გასაკვირველია. ოსების, სომხების, თათრების და სხვ. ინტერესები საქართველოს საზღვრების იქით მდებარეობენ. ეს ელემენტები არღვევენ საქართველოს მთლიანობას და ცდილობენ მის დანაწილებას. კულტურული დონე ჩვენი ქვეყნისა შედარებით შვეიცარიასთან იმდენად დაბალია, რომ არც კი ღირს ამაზე ლაპარაკი. ამასთან ერთად არავითარი ფიზიკური და მხედრული შემზადება ახალგაზრდობის არა აქვს.

წარმოიდგინეთ ერთხელ, თუ რანაირ დაიცავს ოსეთის კანტონი დარიალის ხეობას, ახალქალაქის სომხობა—ჯავახეთს, ბორჩალოს თათრები—ჯაჯურის უღელტეხილს, საქართველოს ლეკები—ქიზიყ-კახეთის გზებს. შვეიცარიაში კი მობილიზაციის გამოცხადებისთანავე საზღვრებს ჰკეტავენ მის ახლოს მდებარე კანტონებს.

ან და ეცადეთ და შეიმუშავეთ ჩვენისთანა ტიპია გაუნათლებელი კაცი დღევანდელ რთულ სამხედრო ხელოვნებას, რიგიანად, გინდ ორი წლის განმავლობაში?

ანდა გამოიანგარიშეთ რამდენი ზედმეტი მილიონი პატრონია (მაზასადამე ფულიც) მოუნდება ასეთ მოუმზადებელ ხალხისაგან შემდგარ „მილიციას", რომელსაც არც თვალი უჭრით და ხელიც უკანკალებს (გაიხსენეთ გილზებით გავსილი მათი თხრილები!) **ამ რიგად საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული პირობები სავსებით ეწინააღმდეგებიან მილიციის შემოღებას ჩვენში.**

საქართველოს მდებარეობა და მდგომარეობა, დღესაც და ხვალაც მოითხოვენ მუდმივ ჯარის დაუყოვნებლივ შექმნას.

3—4 თვის განმავლობაში ჩვენ უნდა აუცილებლივ შევადგინოთ 25—30 ათასი კაცისაგან შემდგარი მოძრავი, ტეხნიკურად მოწყობილი, დისციპლინით შებოჭილი, ძლიერი ლაშქარი.

საქართველოს საზღვრები ღიაა. არც ერთი ციხე-სიმაგრე საზღვარზედ მას არ მოეპოვება. უჯარო და გაუმაგრებელ ქვეყნის საზღვრებს ყოველ მხრიდან მტერი აწვება და არ უჩანს ბოლო მათს თავდასხმას და თავგასულობას. მათ საბოლოოდ გაუსწორდება მხოლოდ ნამდვილი რეგულიარად მოწყობილი ქართული ბატალიონები. ასეთ ჯარის სასწრაფოდ დაწესების აუცილებლობას ხელს უწყობს სიადვილე რეგულიარულ ჯარის მოწყობისა: უფროსი, და უნტერ ოფიცერთა კადრი მზადაა მასთვის. მასთან გერმანელების ინსტრუქტორები, რომლებიც აუცილებლივ მოწვეულნი უნდა იყვნენ ქართველთა ჯარში, შეჩვეულნი არიან ამ სისტემას და უფრო დააჩქარებენ მის ორგანიზაციას.

მუდმივი ჯარი შეინახავს და მოუვლის იმ ძვირფას იარაღს, ტანთ-საცმელს და სხ. დრულ მოწყობილებას, რომელსაც ჩვენ გერმანიისაგან მოველით. ფულით გამოკვებაც ასეთ პატარა ჯარისა შედარებით სახალხო მილიციასთან დღეს უფრო იაფი დაჯდება. ამის დამტკიცება არც ისე ძნელია. მუდმივ ჯარის სასწრაფოდ დაარსებას გვაიძულებს გამოურკვეველი ომის მსვლელობაც. შეიძლება ამ მოკლე ხანში ომი გათავდეს და, თუ ჩვენი სახელმწიფო უჯაროდ წარსდგა ევროპის კონფერენციაზე საქართველო ევროპის დიპლომატების მსხვერპლად შეიქმნება. ბერისავით გვათამაშებენ და იქნებ ბოლოს ვისმეს ყმად შეგვათავაზონ.

შესაძლოა რომ საქართველოს მიდამოების ახლოს გაჩაღდეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მოქიშპე სახელმწიფოთა შორის. ამ შემთხვევაში უჯარო საქართველო სამუდამოდ წაილეკება ისტორიის რუქიდან. ერთის სიტყვით, საიდანაც არ მოუვლით ამ საგანს ყოველ მხრიდან ერთს პასუხს წააწყდებით: საჭიროთ მუდმივი ჯარი! კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც ქართველთა მუდმივ ჯარს მომავალში აკისრებს დიდ ისტორიულ როლს. ამ უსაშინლეს ომის ქვეშ-ქეხილში და ზღვა სისხლში კვლავ ამოტივტივდა საქართველო, ერთ გაერთიანებულ ტომის სახით, ერთ მთავრობით სათავეში. ვფიქრობ, ეს უნდა იყოს უკანასკნელი ცდა ქართველ ხალხისა, რომელმაც როგორც ერმა ან უნდა დიდი ხნით გაიმარჯვოს ან და სამუდამოდ დაიღუპოს. დღევანდლისათვის საკმაოა დღევანდელი დაუსრულებელი ორჭოფობა და რყევა ჩვენი ფიზიკურ ძალების დაწყობის გარშემო. გამარჯვებისათვის კი საჭიროა რკინაში და ფოლადში შეჭედილი ქართველთა ლეგიონები—ეს მუდმივი და მიუხსნელ დარაჯები ქართველთა სახელმწიფოს მთლიანობისა. მით უფრო რომ გამოთლების პროცესი საქართველოსი ჯერ არ დასრულებულა და სანამ არ განმტკიცდება საქართველოს საგარეო და საშინაო მდგომარეობა მუდმივი რეგულიარული ჯარი ერთად ერთი მხსნელია ჩვენი ქვეყნისა.

დ. ვაჩნაძე.

ცისაგან შემდგარ განსაკუთრებულ კომისიასთან ერთად შეიმუშაოს ეს საკითხი ერთი კვირის განმავლობაში. პროექტის მიხედვით, მცხოვრებლებს შეეწერებათ ერთდროული გადასახადი შემოსავლისაგან ან ნამუშევარისაგან ორი პროცენტის გამოკლებით.

◆ **არაქელიანის გარდაცვალების გამო.** ტრაგიკულად გარდაცვლილ „მშაკი“-ს რედაქტორის ამხ. არაქელიანის დამკრძალავ კომიტეტის თავმჯ. ამხ. ბ. არგუთინსკი-დოლგორუკოვმა ინახულა საქართველოს პრეს-ბიუროს თავმჯდ. ამხ. ა. ასათიანი და კომიტეტის დავალებით სახოვა მას მადლობა გადაეცა საქართველოს პრეს-ბიუროსათვის ამხ. არაქელიანის დაკრძალვაში მონაწილეობის მიღებისა და თანაგრძნობის გამოცხადებისათვის. ასევე მადლობა გამოუცხადა მან საქ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტსა და „საქართველოს“ რედაქციას თანაგრძნობისათვის.

◆ **გერმანიის დელეგაცია.** ინფორმაციული განყოფილების გამგე ცუგმაიერი აცხადებს, რომ რუსეთის გაზეთებიდან გაზ. „ბორბას“ № 122-ში გადმობეჭდილი დეპეშა ვითომ გერმანელი აპირობდეს დაჭერილი ოლქებიდან ჯარის დასავლეთის ფრონტზე გადაყვანას, სიცრუეა. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ასეთი შინაარსის დეპეშები შიფრით იგზავნება და მათი დაჭერა შეუძლებელია. დეპეშის სიყალბეს ამოწმებს აგრეთვე შეუფერებელი ცნობები, „ბრწყინვალე გენერლებზე“ და სხვა.

ამ ბოლო ხანებში ქალაქში ვრცელდება ხმები ვითომ გერმანელებს საქართველოდან სურსათი გაჰქონდეთ. გერმანიის ოფიციალი წრეები ამის გამო იტყობინებიან, რომ გერმანიის დელეგაციამ პრინციპიალური მოსაზრებებით წინდაწინვე უარი განაცხადა საქართველოს სურსათით სარგებლობაზე. ყალბია აგრეთვე ის ცნობებიც, რომ გერმანელები ყვითელ ტანსაცმელს ატარებენ, საქართველოს რესპუბლიკის საჩუქარი იყოს. ყველა ეს მოტანილია გერმანელთიდან დელეგაციის გემით. ბაასის დროს ცუგმაიერმა სთქვა, რომ გერმანიის ჯარების შეტევა დასავლეთის ფრონტზე შეჩერებულია. ფრანგების კონტრ-იერიშებიც დათავებულია. „ორი ხარი ერთმანეთს დაეტაკნენ შუბლებითო“ სთქვა ცუგმაიერმა ალბათ ამ შემთხვევაში ფრანგები მიხვდნენ სად ელოდნენ გერმანელების შეტევას და ამისათვის მოჰკრიბეს ძალები და დაიწყეს კონტრ-შეტევა. გერმანიის სარდლობის მიზანია ფრანგებს ისეთს ადგილას შეუტიონ სადაც ისინი ნაკლებ ელიან, უკანასკნელად წამოყვანილი ტყვეები მოწმობენ თუ რა დონეს მიჰმართეს ფრანგებმა კონტრ-შემოტევის დასაწყებად. ჩვენ მიერ წამოყვანილი ტყვეების რაზმები წარმოადგენენ განსაკუთრებულს ეთნოგრაფიულს მუზეუმს, სადაც 30-მდის სხვადასხვა ხალხს აქვს თავი მოყრილი, აშკარაა, რომ ფრანგებმა თავისი მარჯვე ძალების დიდი ნაწილი გამოიყვანეს საბრძოლველად.

◆ **ლტოლვილები.** მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით შინაგან საქმეთა კანცელარიის დირექტორმა თბილისის ქალაქის მილიციის უფროსს უბრძანა საბურთალოს რაიონში საყარაულო დააწესოს, რომ არც ერთი ლტოლვილი, რომელსაც რუსეთ ეროვნულ საბჭოს ნებართვა არ ექნება, მცხეთას არ გაუშვან, რათა მცხეთაში ლტოლვილები არ მოგროვდნენ.

◆ **საბურთალოს აღმასრულებელმა კომიტეტმა** წინადადებით მიმართა სათანადო მთავრობას რომ დაუყოვნებლივ დაითხოვან საბურთალოს სარაიონო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ა. სოკოლოვი თავის თანამდებობიდან და მისცენ იგი სამართალში სამსახურის დროს ბოროტმოქმედების ჩადენისათვის.

◆ **მეფის აზარიანცის სახლში** ასაფეთქებელ მასალის აღმოჩენის გამო დააპატიმრეს პოლკ. ჯუნკოვსკის ცოლი მარგარიტა.

◆ ქიურდამირიდან მიღებულ ცნობების თანახმად ოსმალეთა რაზმები სამი მხრივ მიადგნენ ბაქოს სიმაგრეებს და შეჩერდნენ. ბაქოს ჯარის მთავარი ძალები შიგ ბაქოშია მოთავსებული და იმუქრებიან, თუ ვინიცობაა შიში სჭნება ბაქოს, მაშინ ისინი ააფეთქებენ მთელ ქალაქს და სამრეწველოებსაც. ტაგიევი და სხვა მილიონერები დატყვევებული არიან კიდევ. ბაქოდან მიღებული ცნობებით, ბოლშევიკები თანახმანი არიან ზავი შეჰკრან, რკინის გზის მოძრაობა გახსნან ბაქოდან-ფოთამდე, თუ ოსმალოს ჯარი გაყვანილი იქნება, და მთელი ბაქოს სამრეწველო რაიონები და ქალაქის უმაღლესი მართველობა საბჭოთა მთავრობის ხელში დარჩება.

◆ სიღნაღის ქალაქის მართველობამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქთა კავშირის წინაშე, მიეცეს მას უსარგებლოდ 772,500 მან. ერთი თვის სამარი შაქრის და ფქვილის შესაძენად ქალაქისა და მის ახლო მახლო სოფლების საჭიროებისათვის.

◆ შეპყრობილია სამხედრო გიმნაზიის (კადეტსკი კორპუსი) დირექტორი დურნოვო და ყოფილი თავმჯდომარე ამიერ-კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლოსი—იგნატიევი.

◆ **სპეკულაციას, სახაზინო ქონების დატაცებასა და კონტრევოლუციასთან მებრძოლ საგანგებო რაზმის** ინსტრუქცია. 1) აღნიშნული რაზმი მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრს ექვემდებარება და მის ხელმძღვანელობით მოქმედებს. 2) რაზმის მოქმედება მთელ საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება. 3) რაზმის უფროსს და მის თანამშრომლებს უფლება ეძლევათ საჭიროების დროს კერძო პირების დაპატიმრების და ჩხრეკის მოხდენისა. 4) მოვალეობის ასრულების დროს რაზმის უფროსს უფლება აქვს საჭირო დახმარებისთვის მიმართოს როგორც საერთო ისე რკინის გზის მილიციას, აგრეთვე სახალხო გვარდიას და სამხედრო მთავრობას. 5) რაზმის წევრთა მიერ წარმოებული გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანხმობით, გადაეცემა საგამომძიებლო მთავრობას. 6) რაზმს აქვს საკუთარი ბეჭედი.

## შეცდომის გასწორება

გუშინდელ №-ში დ. ჯაფარიძის წერილში შემდეგი შეცდომებია: სწერია: „დიდი ბრძოლით მიღწეული საქართველოს კარებამდის“. უნდა იყოს: დიდი ბრძოლით. შემდეგ სწერია: მის გარდა კიდევ არსებობს სხვა წყობილებაც,—კონფედერაცია, სახელმწიფო კავშირი და მოკავშირე სახელმწიფო. უნდა იყოს: სახელმწიფოთა კავშირი.

## ბორჩალოს მაზრაში
### დანაშაულობა თუ უძლურება?

ბორჩალოს მაზრა საქართველოს ეკუთვნის, მაგრამ ეკუთვნის მხოლოდ ქაღალდზე. არა-ჩვეულებრივი ანარქიის გამო საკვირველი მდგომარეობა შეიქმნა. ქართული მთავრობა არ არის. რამოდენიმე ვერსზე საზღვარი გახსნილია თათრებისაგან და გაიქვთ მილიონობით ღირებული თავისი და ნაქურდალი ქონება. მთელი კავკასიისა და თრიალეთის სიამაყე—ყველის მკეთებელი ქარხნები მოსპობილია და ამ ქარხნების მთელი ქონება და საქონელი ოსმალეთში გადააქვთ. ყოველ დღე თრიალეთის მხარეს მკვლელობა ხდება, ძარცვა, ძარცვა-გლეჯა, და არ არის, მთავრობა, რომ ბოლო მოუღოს უწესოებას. ნუ თუ ჯავახეთისა, დუშეთისა, მესხეთისა, ბათუმისა და სხ. გაკვეთილები უმნიშვნელოდ გაჰქრა? ნუ თუ დრო არ არის, შეიქმნას ძალა, მტკიცე მთავრობა? თრიალეთის მხრის მცხოვრებნი შეწუხებულნი არიან უმთავრობით. უმდიდრესი კუთხე, რომელსაც შეეძლო გამოეკვებნა მთელი ტფილისი, არაფერს აძლევს არც ტფილისს, არც საქართველოს?! ნუ თუ არა გვაქვს ცოტაოდენი ძალაცაა, შევკრათ ოსმალეთის მხარეს საზღვარი, გავამაგროთ მთავრობა და შევქმნათ ცხოვრებისათვის საკუთარი პირობები? მთელ ბორჩალოს მაზრაში ოსმალო ჯარის-კაცები თავისუფლად დაპარპაშობენ და მათ დანახვაზე გული ბოღმით ივსება, რომ ხედავ, როგორ ბილწავენ და ჩირქსა სცხებენ ამ უძველეს კუთხეს საქართველოისას.

ყოველს ქართველს წყრომით უცქერიან, მონასტრების ნანგრევები, ძველი დანგრეული ქალაქებისა და ეკლესიების მრავალ-მეტყველი ნაშთები. ნუ თუ განთავისუფლებული საქართველო ვერ შესძლებს აღადგინოს მათი შელახული სიწმინდე და პატიოსნება? სხვა ყველა მხარეს სიმშვიდობაა, ბორჩალოს მაზრაში ყველაფერია. პატარა ძალაცაა, რომ გაიგზავნოს იქით, კარგა გამოიკვებება იგი, თუ შე ძლებს ცოტა-ოდენადაც მშვიდობიანობა დაამყაროს.

საქართველოს მთავრობა მოვალეა ყურადღება მიაქციოს ბორჩალოს მაზრას, შეჰკრას საზღვარი და გაამაგროს იგი, ანარქია მოსპოს მაზრაში,—ამისათვის საჭიროა მთავრობა, საჭიროა ძალა, სხვა არაფერი. („ბორბა“).

## რუსეთის ამბები

**ნიკოლოზ მეორის მოკვლა.** ყოფილი მეფე ნიკოლოზ მეორე მოკლულია 16 ივლისს ეკატერინენბურგში ურალზე. რუსეთის საბჭოთა მთავრობამ მთელი ქონება ნიკოლოზისა, დედისა და მთლად სამეფო გვარეულობისა რუსეთის რესპუბლიკის კუთვნილებად გამოაცხადა. კონფისკაცია ეხება აგრეთვე რუსეთისა და საზღვარგარეთულ ბანკებში შეტანილ ფულსა.

— **ვოლოდარსკის მოკვლა.** 20 ივნისს მოჰკლეს პეტროგრადის კომმუნის წევრი, მოღვაწე კომუნისტების პარტიისა ვოლოდარსკი.

**ფინლიანდიაში.** გერმანიის რადიო სადგური იტყობინება: სტოკჰოლმიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ფინლიანდიის მთავრობამ ლანდსტინგის დეპუტაციას განუცხადა, რომ ის მართველობას თავს დაანებებს, თუ მონარქიული წყობილება არ დამყარდა მხარეში. მთავრობას სწამს, რომ მხოლოდ მონარქიის დამყარებით შეიძლება ფინლიანდიის დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ამიტომ, თუ ლანდსტინგი უარყოფს მთავრობის ამ აზრს, მაშინ ის პასუხისმგებლობას იხდის.

— **პეტროგრადის მუშათა შორის.** „უტრო პეტროგრადა“ იტყობინება: პეტროგრადის ქარხნებისა და ზავოდების რწმუნებულთა განსაკუთრებულ კრებაზე დადგენილ იქმნა, მომზადდეს მუშათა მასსა პოლიტიკურ შეჯახებისთვის საბჭოთა მთავრობის რეჟიმის წინააღმდეგ. ამ შეჯახების ლოზუნგი იქნება: ძალა-უფლება დამფუძნებელ კრებას გადაეცეს, აღდგენილ იქმნას ადგილობრივი თვით-მართველობათა ორგანოები და გაწეულ იქმნას ბრძოლა რუსეთის რესპუბლიკის ერთიანობისა და ხელშეუხებლობის დაცვისათვის.

— **უფლება მოსავალზე უკრაინაში.** უკრაინის მინისტრთა საბჭომ გამოსცა კანონი, რომლითაც უკრაინის ტერიტორიაზე 1918 წ. მოსავალი ეკუთვნის იმათ ვინც დათესა ეს მიწები. ნათესების პატრონები მოვალენი არიან მიწის კერძო მესაკუთრეებს გადაუხადონ 1917 წ. გაწეული ყოველნაირი სახელმწიფო, საერობო და სხვა გადასახადები და აგრეთვე განსაკუთრებითი ჯილდო მიწის ხმარებისათვის მოსავლისდაკვალად. კანონის ტექსტში აღნიშნულია, რომ ის გამოცემულია თანახმად გენ. ფელდმარშლის ეიჩგორნის 1918 წ. 6 მაისის ბრძანებისა.

— **კარლ მარქსის ძეგლი.** სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გადასდოს ერთი მილიონი მანათი კარლ მარქსის საფლავზე ძეგლის დასაშენებლად. კარლ მარქსის საფლავი ლონდონში არის.

## ქართულ-გერმანულ საზოგადოების დაარსება

სადღესასწაულო ელფერი ჰქონდა ეროვნული საბჭოს ყოფილ დარბაზს (ფრეილინის ქუჩაზე), კვირას, 21 მკათათვეს. ამ დღეს აღსრულდა ქართველი, ევროპიულად განათლებული ინტელიგენციის დიდი ხნის წადილი და საძირკველი ჩაეყარა ქართულ-გერმანულ საზოგადოებას. დილის 11 საათისთვის სავსეთ დიდმა საზოგადოებამ მოიყარა თავი: აქ იყვნენ უცხო მეგობრულ სახელმწიფოების წარმომადგენლები გენერალ კრესს ფონ კრესსენშტეინის მეთაურობით, გერმანელი ლინგვისტი დოქტორი დირი, ქართველი ხალხის ძველი მეგობარი არტურ-ლეისტი, „კავკაზიშე პოსტის“ რედაქტორი, ადგილობრივ გერმანული ახალშენების წევრები, ფინანსთა მინისტრი გ. ჟურული, სახელმწიფო კონტროლიორი დოქტ. ფ. გოგიჩაიშვილი, უნივერსიტეტის პროფესორები, ეროვნული საბჭოს წევრები და სხ. კრება გახსნა საინიციატივო კომიტეტის თავმჯდომარემ დოქტ. ტიტე მარგველაშვილმა, რომელმაც გულწრფელი პათოსით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა გერმანულ ენაზე (იხ. დღევანდელი გაზ.).

შემდეგ დოქტორმა დირმა კარგი ქართული ენით რამდენიმე თბილი სიტყვა სთქვა საქართველოს შესახებ. ბოლოს არტურ ლეისტმა შემდეგი სიტყვით მიმართა შეკრებილ საზოგადოებას:

„დიდი სიხარულით შემოვდივარ ამ დარბაზში, რომელიც ასეთ ტკბილ მოგონებას აღმიძრავს ჩემს გულში. აქ ხომ მუშაობდა და ფიქრობდა ჩემი დაუვიწყარი მეგობარი ი. ჭავჭავაძე, მგოსანი, ქართველი მამულიშვილი—პატრიოტი და უდიდესი შემოქმედებელი საქართველოს ეროვნულ აღორძინებისა 19 საუკუნეში. აკაკი წერეთელთან, გოგებაშვილთან, ცხვედაძესთან და სხვა ამისთანა ცნობილ მოღვაწესთან ერთად მან შეჰქმნა დღევანდელი საქართველოს ნიადაგი. ყველა ეს მოღვაწენი, რომელნიც სამწუხაროთ დღეს საფლავში განისვენებენ იყვნენ გერმანელი კულტურის პატივისცემელნი, მეგობრები. და თუ მათი სულნი ჩვენ შორის ამ ჟამათ იმყოფებიან, უეჭველია ისინი ჩვენ განზრახვას რომ ვამსხვილოთ ქართველი ხალხის აღორძინებას და აყვავებას გერმანულ კულტურის დახმარებით თანაუგრძნობენ და კურთხევას უგზავნიან.

როგორც მეგობარი ყველა ხსენებულ დიდებულ ქართველ მამულიშვილთა, რომელთა ფიქრნი და გრძნობანი ახლაც კარგათ მახსოვს გათვალისწინებულ, მე სალამს მოგახსენებთ და ვუსურვებ ჩვენს საქმეს დღეგრძელობას და ნაყოფიერებას.

დასასრულ არჩეულ იქმნა ახალი საზოგადოების გამგეობა, შემდეგი პირებისაგან: დოქტ. დირი, მაიორი ჰაი, დოქტორი იანკე, დოქტორი ტ. მარგველაშვილი მ. გიქოძე. პროფ. ჯავახიშვილი, დოქტორი უზნაძე, დოქტორი ფ. გოგიჩაიშვილი, არტ. ლაისტი, გრ. ვეშაპელი, ინჟ. ბ. პაპავა, დ. ონიაშვილი.

პირველ დღესვე საზოგადოების წევრად სამოც კაცზე მეტი ჩაეწერა. საჭიროა რომ ქართველი განათლებული და შეძლებული საზოგადოება განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყროს ამ ახალს საქმეს, რათა ის პოლიტიკური და კულტურული კავშირი, რომელიც გერმანიასა და რუსთაველის ქვეყნებს შორის დამყარდა, განმტკიცდეს და გაფართოვდეს.

## ბ-ნ ტ. მარგველაშვილის სიტყვა თქმული

**ქართულ გერმანულ საზოგადოების დამფუძნ. კრებაზე 21 ივლისს 1918 წ.**

მაღალ პატივცემულო ყრილობავ, ძვირფასო პატივცემულნო ქალბატონებო და ბატონებო!

საინიციატივო ჯგუფის სახელით ნებას ვაძლევ ჩემ თავს გავხსნა პირველი სხდომა ქართულ გერმანულ კულტურულ საზოგადოებისა. უმაღლესი პატივისცემისა და უმაღლესი გრძნობებით ვეგებები მე თავმჯდომარის ადგილს. ამ კულტურულ საზოგადოების დამაარსებელნი გამოდიოდნენ იმ ღრმა რწმენისაგან, რომ არსებობს მთელი რიგი ელემენტებისა, რომელთაც შეუძლიან ჩვენი, ქართველთა და გერმანელთა შეერთება ამ საზოგადოებაში. ნება მიბოძეთ დავსახო ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი. უწინარეს ყოვლისა ზნეობრივი თვისება ორივე ერისა, რომელიც თავის საუკეთესო გამოხატულებას ამ ერთა ზნეობრივ განათლებასა და კულტურასთან შეუერთებელ ლტოლვილებაში ჰპოვებს. ორივე ერი, გერმანელები დასავლეთ ევროპაში და ქართველები მცირე აზიასა და, უთქმით გულ ახლოსთ რაც საოცრებაა, აღმოსავლეთ ევროპაშიაც განირჩევა დაუცხრომელ, მუდამ მოძრავ, ყოველ დაბრკოლებათა დამთრგუნველ მისწრაფებით ზნეობრივ კულტურისა და ცოდნა-მეცნიერების გაღრმავებისა და გამოყენება-გაშინაარსებისაკენ. წარმოიდგინეთ, რას წარმოადგენდა კულტურულათ გერმანია ერთი საუკუნე ცხოვრების ომის დაწყებამდე. გაიხსენეთ, რომ ეხლანდელი გერმანია ერთი ორი წლის შემდეგ ყველა კულტურიანს სახელმწიფოთაგან მიჩნეულ იქნება როგორც უკულტურონესი ქვეყანა და თვით გერმანელებს მოცილე ამავენ ეულება მთელს დედამიწაზე კულტურულსა და პოლიტიკურს ჰეგემონიაში. გაითვალისწინეთ ეს, და ყველასათვის ცხადი იქნება, თუ რამოდენი შრომა, მიძღვნილი მუშაობა თავზე ხელაღებულობამდე (Leilstentsagung) თავგამოდება და თავგანწირულება იყო საჭირო გერმანელთათვის მისთვის, რომ თავიანთ სამშობლოსთვის ეგეთი მდგომარეობა დედამიწაზე უზრუნველეყოთ. გერმანელთ რომ შესძლეს ეგეთი ტვირთის ატანა, ეს მათი სულიერი უპირატესობის მიზეზით მოხდა; ამ ერმა დაიასახა უფრო-რთულესი კულტურული პერსპექტივები და შესძლო კიდეც მარჯვედ დამკვიდრა თავისი ნიჭიერებისათვის კულტურული ჰეგემონია კაცობრიობაზე მისდამიუხედავად, რომ დასავლეთ ევროპის ერებში, ის ყველაზე ბოლოს ჩაება კულტურულ ჯიბრობის ფერხულში. დიახ, ზნეობრივ უპირატესობით აიხსნება, რომ გერმანელები ბატონები გახდნენ ცის ქვეშეთ ჰაერისა და ოკეანე—ზღვათა სიღრმისა.

იგივე ზნეობრივი თვისებაა ქართველთათვის მცირე აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში. დავაკვირდეთ რამდენი მძიმე დაბრკოლებანი უნდა გადელახა ქართველ მოზარდ თაობას, რომ თავი დაეღწია გარუსებისა და ოსპკურანტიზმისაგან და გზა გაეკაფა დამოუკიდებელ აზროვნებისათვის. აგრეთვე-დავწონოთ, რა ზომ დიადი და ფეხზელი ბრძოლობა გასწია ქართველმა ინტელიგენციამ აღმოსავლეთ ევროპაში განსაკუთრებით განმათავისუფლებელ მოძრაობის დაწყებისას, რომელმაც ჩვენში იმდენი იმედები და ტკბილი გრძნობები აღძრა. რუსეთში მოღვაწე ქართველ ინტელიგენციას უნდა უმადლოდეთ, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობამ რუსეთში პირველ ხანებში მაინც სწორი ხაზით იარა, და არა წამსვე არ გადაგვარდა ყოველგვარი კულტუროსნობის ტლანქით წამლეკ ბოლშევიზმში. მხოლოდ ქართველმა ინტელიგენციამ შესძლო მთელი ამიერ-კავკასიის დაცვა და გადარჩენა გაბოლშევიკებულ რუს სალდათთა წყლებლობისაგან. ქართველი ინტელიგენცია იყო, რომ შესძლო ამიერ კავკასიის ერთ მთლიან სახელმწიფოში შეერთება სწორეთ ამ მიზნისათვის. ტონის მიმცემი, ხელმძღვანელი და გადამწყვეტი მთელს ამიერ-კავკასიაში ქართველი ინტელიგენცია გახლდათ. შეიძლება არ ვეთანხმებოდეთ იმ მართულებას სოციალ-პოლიტიკურ აზროვნებისას, რომელიც ეხლა ჩვენში ბატონობს, მაგრამ უდაოთ რჩება ის როლი, რომელსაც თამაშობს ქართველი ინტელიგენცია ამიერ კავკასიაში. ჩვენი პოლიტიკით და მაშასადამე მთელი ჩვენი კულტურით, ლიტერატურით და სულიერი სიმდიდრით. დიახ, ჩვენი კულტურა და ცოდნა მეცნიერება, ჩვენი პოლიტიკა და აზრთა მიმართულება გადამწყვეტია, ტონის მიმცემია მთელი ამიერ კავკასიისათვის, საბოლოოთ დამტკიცდა იმ ახალი მოვლენებით, რომელთა მოწამე ჩვენ თვითონ გავხდით რამოდენიმე თვეების წინ. ის გარემოება, რომ ჩვენმა პოლიტიკამ გაიმარჯვა და ცხოვრებამ იგი გაამართლა ეს შემთხვევა არ არის.

კავკასიას თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და აქ გამეფებულ კულტურით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მცირე აზიისათვის, რომელიც კულტურულათ და თავისი მცხოვრებთა სულიერი ვითარებით ჩვენ შეგვეძლება. გადავხედოთ ჩვენი მეზობლის სახელმწიფოთა კულტურულ-პოლიტიკურ მდგომარეობას, მივიღოთ მხედველობაში, რომ საქართველო მხოლოდ ეხლა იწყებს სახელმწიფოებრივ ორგანიზაციულათ არსებობას, რომ ჩვენი სახელმწიფო ამშენებლობის პროცესშია, გავიხსენოთ ამასთანავე თუ რა დიდი ზიანი მოაყენეს ჩვენს ხალხს ჩვენი ძველი და ნამდვილი ქართული მაზრების ჩამოშლით და ჩვენი ძველი ძმების ჩამოცილებით; თუ ყველაფერს ამას აგვწონ დავწონით, უნდა აღვიაროთ, რომ ქართველი ერი კულტურულათ, სულიერათ, შინაგან ძლიერათ გაზრდილა, იმიტომ, რომ საშინელ განსაცდელში, გადამწყვეტ კრიტიკულ წამში იგი

